1916

კვირა, 19 დეკემბერი 1916 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 51

F 644

მოსკოვის „ქართული სახლი“

„აქ ხვდებიან მოსწავლე ახალგაზრდობა ქალი და კაცი ერთმანეთს და ეს დაახლოება შეიძლება შეუღლების კავშირადაც გადაიქცეს“. („საქართველო“ 261)

ექ. გაბაშვილისა.

მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა ხ ლ ი

თფილისიც, ბათუმიც
ფეხებზე ჰკიდია,
ქალაქი მოსკოვი იმდენათ დიდია.

საშინლათ დიდია
და უზარ-მაზარი...
სიცივე და ყინვა იცის აქ საზარი.

სიცივე, ნაპარბი
უმაღლეს ზომებსა,
უფრო სწყენს, საბრალო, ქართველთა ტომებსა.
მაგრამ ეს ქართველთა
მოდგმა, თუ ნაცია
უნდა ვსთქვა მართალი: ეშმაკი კაცია!
აი მან სიცივეს
რა ხერხი ულონა:
ადგა და ქართველებს „ჩა“ გამოუგონა.
დაარსდა საღამო
„შაბათის ჩაების“,
გართობა-ხუნტრუცის მუნ სხვადასხვაების.
აქ ხშირათ იხილავთ
„ვალსსა“ და „ლეკურსა“,
თუმც სიტყვას ქართველურს
ვერ მოჰკრავთ თქვენ ყურსა.
ან რეფერატები
აქ რა სათქმელია!
„ხორციელ განცხრომა გვაქვს სანატრელია“.
ქართული სქესები
აქ ერთურთს ხვდებიან...
და უნდა ვიფიქროთ: მყის შეუღლდებიან.
და ნაცვლად უწინდელ
რუს-გოგოებისა
მეუღლე ხდებიან ქართველი დებისა.

—ქი.

პატარა ფელეტონი

—ის—

ჯერ თუ ვი ქართველია
ევროპიერით და ეოდნაირათ
ის თათარი ვერ გამოვა
რაგინდ რეუფზე მოინათლოს.

სოლ. ზურგიელიძე.

უკვე საბოლოოთ გამორკვა საკითხი ჩვენი შეუდარებელი მგოსნის ი. გრიშაშვილის (ერის კაკობაში მამულაშვილის) „მეობის“ შესახებ. როგორც ქართველ მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, მის შესახებ ერთმანეთს დანა—მოსისხლეთ ებრძოდა ორი მეზობელ ერი: ქართველები და სომხები. (თათრები და რუსები ნეიტრალიტეტში ისხდენ) გაზეთმა „სამშობლომ“ საკუთარი [illegible] „ალჩუზე დაიყენა“ და მაზალოთ შემოუტია სომხებს:

— ხელი ფაფას!, ი. გრიშაშვილი ჩვენია, ჩვენი სისხლი და ხორცი!

„ჰორიზონტმა“ ჩინებულათ იცის რა ძალაა დამარხული ჩვენი მგოსნის სიღრმეში, იცის და არ დასთმობს მას, თუნდაც კრიე მოხდეს. იგი უმალ ვანის ვილაიეტს დასთმობს, ვიდრე ოსიპ მამულიანცს.

— ჰეი,, გიეეს ტო! თავიდან მომწყდი, თორემ ასეთი ჩაგაფარო, რომ ანჩისხატი კოშმოსტოთ [illegible]—გეჩვენოს! სისხლი დაგვიღვრია, ვაკი გაგვიზრდია, [illegible] ვა ვაკი ვაჰ!!!, ვაჰ!!!, ვაჰ!!!; ჩვენი სარწმუნოება მიგვიცია, ჩვენს ხატზე გვილოცებია და ახლა მიგეკავთ?!. ხელი არ ახლოთ თორემაა...

გაზეთი „მეგობარი“ თუმცა დიდი მოწინააღმდეგეა „სამშობლო“-სი, (უმთავრესად „თფილი ადგილების“ საკითხში) მაგრამ ეროვნული თავმოყვარეობა მასში ყველაფერზე მაღლა სდგას.

— ერთი ამ ლაწირაკს დამიხე!—ჩვეულებრივის რიხით დაგრგვინა მან—ჩვენს სამშობლოშიაც რომ აღარ გვასვენებენ? ბოშო, ქეკ რომ მასე იყოს, მაშვინაც ვინ მოგეცა თქვენ ნება სხვის ეოჯახში იფათურეოთ? იმე! გაგიგონიათ ამფერი რამე თქვენი ჯირიმეთ. იქით გეეთრიეთ, თორემ სულს გეგვგდებიებ, თავის ხაპს გაგიპოფ შვიზე!

დემოკრატები ურევენ სმენას, თორემ სოლიდარობა სომხურ გაზეთებშიაც გასაოცარია, მით უმეტეს, როცა საქმე ასეთ დიდ მნიშვნელოვან ნაციონალურ საკითხს ეხება. გაზეთი „ბაქო“, როგორც უფრო დაახლოვებით მცოდნე საკითხისა (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ი. გრიშაშვილი ერთხელ ბაქოშიაც გაიწვიეს „საღამოში“ მონაწილეობის მისაღებათ) ცხადია „მეგობრის“ მედიდურ კილოს და მით უმეტეს ასეთ პირველხარისხოვან სომეხ მგოსანს ვერ დასთმობდა.

— Эхъ вы шуты гороховые!—დასწერა მან—ნუთუ გგონიათ ერი ასე ადვილათ დასთმობს თავის საუნჯეს? როდის ნახულა საქართველოს ასეთი მგოსანი ჰყოლოდეს, რომ დღეს გამოსჩენოდა? არა, შვილოსან, ვინც სომხის ტერტერას მოუნათლავს, ის სომეხია, საქმე მორჩომილია.

თუ რა უპასუხა ამ მკვახე წერილზე ჩვენმა „ზაკავკაზსკაია რეჩმა“ აღარ ვიტყვით; არ ვიტყ-

ვით იმიტომ, რომ მისი გადმოთარგმნა ქართულ ენაზე ერთობ მოუხერხებელია. ქართული ენა უფრო რბილი ენაა მიუხედავათ ბ ნი ბალმონტის განმარტებისა და იმდენი „მაგარი“ სიტყვა, რომელიც რუსულ ენას ამდიდრებს, სამწუხაროთ, ჩვენ არ მოგვეპოება.

გაზეთი „მშაკი“ და „სახალხო ფურცელიც“, მიუხედავათ მათი განსაცვიფრებელი სიდინჯისა, ა·ყოლია ამ სტიქიურმა ბრძოლამ, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს „ბრძოლა პოეზიისათვის“. ეს მცხოვანი ორგანოები მებრძოლთ ზომიერებისაკენ მოუწოდებდენ. „სახალხო ფურცელი“ სწერდა:

— ჩვენ სიამოვნებით დავუთმობთ სომხებს იმ ნაწილს სასიქადულო მგოსნის ცხოვრებისას, როდესაც ის იწოდებოდა ოსიპ მამულოვად, მაგრამ იმ დღიდან, როცა მან ქართული დაბოლოება მიიღო და შეგნებულათ უარჰყო ძველი კულტურა ხარფუხისა და იწოდა ი. გრიშაშვილი, იგი განუყოფელს ნაწილს შეადგენს ქართული ეროვნებისას.

ვერც იმას ვიტყვით, თუ რა პასუხი გასცა „სახალხო ფურცლის“ „დათმობის პოლიტიკას“ ჩვენი მებრძოლი ბურჟუაზიის ორგანომ, „საქართველომ“. ვერ ვიტყვით იმიტომ, რომ ცენზორი წაგვიშლის. ჩვენ სხვადასხვა ცენზორები გვყავს და სხვადასხვა რეჟიმში ვცხოვრობთ. ყოველ შემთხვევაში „საქართველოს“ უმთავრესი არგუმენტი სიტყვა: „გადმოთრეულია“.

სამაგიეროთ მე თქვენ გიამბობთ რა დემოკრატიული ცეცხლი დაანთო პატივცემულმა, ივანე გომართელმა „თეატრსა და ცხოვრებაში“.

— ქართველი დემოკრატია, რომლის ნერვებზედაც აჟღერებს თავის ჰანგებს ბ-ნი ი. გრიშაშვილი, ვერას გზით ვერ შეელევა მას. მეზობელთა შორის ამ ნიადაგზე მტრობის გაღვივება არ არის დემოკრატიისათვის სასურველი კლასობრივის თვალსაზრისით, მაგრამ აქ ეროვნული ელემენტი ერევა და საჭიროა ქართველმა დემოკრატიამ ხმა ამოიღოს. გაჩუმება იმ დროს, როცა ქართველ ერს სტაცებენ ისეთ საუნჯეს, როგორც ი. გრიშაშვილია, მომაკვდინებელი იქნება ეროვნულის თვალსაზრისით. ნურამც იქნება ასე!

მე არა მჯერა, მაგრამ მოგახსენებენ გამწვავება პრაქტიკულ ნიადაგზედაც გადავიდაო. ვითომც ი. გრიშაშვილი, ალბათ ოცნებაში გართული, სომხურ საჩაიეში შესულიყოს გოლოვინის ქუჩაზე. ამას ვითომც თვალი შეასწრეს ქართულ საჩაიიდან. თუ ეს მართალია, განა საჭირო იყო მეტი საბუთი, რომ მეზობელ დათა შორის ბრძოლა გაჩაღებულიყო. ტრამვაისა და ავტომობილთა შიშით ქუჩაში ვერ გამოდიოდენ, მაგრამ ისე კი დიდს გულისწყრომას უთვლიდენ ერთმანეთსო.

ასე იყო, თუ ისე ამ საკითხმა, ერთობ ტრაღიკული ხასიათი მიიღო და უშველოს ღმერთმა ისევ მგოსან ი. გრიშაშვილს, რომელმაც კარგ დროს მოუღო ბოლო მას. „სახალხო ფურცელში“ დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის წერილი ,,მე.‘‘, რომელშიაც ნათლად არის გარკვეული ყოველივე წვრილმანი ამ მძიმე საკითხისა.

პატარაობის დროს, ის დაბადებულა ხარფუხში (წელი არ არის აღნიშნული) მამა ჰყოლია ქართველი, დედა სომხის ქალი. მოუნათლავს ხარფუხის (ბერძენთა) მღვდელს ხარფუხისავე ეკლესიაში. (აქ არაფერია ნათქვამი ნათლობის გადახდის შესახებ. არ არის დასახელებული არც ნათლია.) ჩაუწერიათ მეტრიკის წიგნში და ეს წიგნი ინახება სინოდალური კანტორის არქივებში. მოყვანილია წერილში ნომერი საჭირო დოკუმენტებისაც.

ამგვარათ საბოლოოთ დამტკიცდა, რომ ჩვენი საყვარელი მგოსანი ყოფილა მართლ-მადიდებელი ეკლესიის შემავალი, ტომით ქართველი და უკვირს საშინლათ, თუ ვინ მოუგონა მას სომხობა და ისიც ხარფუხელი სომხობა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, დიდებული მგოსნის სასარგებლოთ, რომ მან საჯაროთ განაცხადა იმავ წერილში:

— მე სომხობა სამარცხვინოდ არ მიმაჩნიაო.

თქვენ, ვიცი, ადვილათ გაითვალისწინებთ იმ ზნეობრივ კმაყოფილებას, რომელსაც ამ სიტყვების შემდეგ იგრძნობს სომეხთა ერი.

ჩვენთვის, ქართველებისათვის ამ საჭირბოროტო საკითხის გარკვევას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ქართველი ერიც დაწყნარდება ამის შემდეგ და საგარეო ბრძოლის მაგიერ, რომელსაც ეროვნული თვალსაზრისი ავალებდა იგი დაუბრუნდება საშინაო საქმეებს.

მორიელი.

პრილოვისებური.

(ქუთაისისათვის)

ერთი ვაჟი, ბულვარში,
ქალებს გამოეკამათა,
დღევანდელი მათი ქცევა —
განუმარტა იმან მათა...
და აღნიშნა: ყოველივე
მათი ხელით შენაქმნელი
უსაქმურთა ფართხალია
და უაზრო საქცელი...

ეს ქალებმა იუცხოვეს
ატიტინდენ, ვაჟს შეჩივლეს,
—უკაცრავად, „პოჟოლუსტა“,
ძლიერ სცდებით სინამდვილეს.
განა, ქალები არ იყვენ:
ნინო, —თამარ,—ქეთევანი,
ევდოკია, სიდონია
შუშანიკ და დარეჯანი?
არ იცით, რომ ქვეყნის საქმეს
კაცს უკეთ განაგებდენ,
ქვეყნისათვის გმირებს ზრდიდენ,
და მითი მტერს ამარცხებდენ?
ნუ თუ ფიქრობთ, კაცისთანა
არა აქვნდეთ ქალებს ჭკუა?
ძლიერ ცდებით, თუ გგონივართ
ჩვენ უბრალო ჭია-ღუა,
—მართალია! კარგი იყვენ:
ნინო,—ქეთო და თამარი,
მაგრამ თქვენ, თქვენ, ცხოვრებაში,
რით ხართ მათი შესადარი?
—ჩვენ არავართ, მაგრამ ქალებს
ხომ ჰქონნიათ ჭკუა. აბა!!
—ვიცი, ვიცი, მაგრამ ის დღეს
მოდამ შთანთქა და ჩაყლაპა.
თქვენ ის ბრძანეთ, თქვენდა თავად
თქვენი ღვაწლი ვის ანათლებს?!
—როგორ? ჩვენი საბუთები
განა ჩვენ ვერ გაგვამართლებს?!
—თქვენ ის ბრძანეთ: სად ივარგებთ
ამგვარ ქცევით, სადაც იყოთ?
თუ არ მხოლოდ სატრფიალოთ,
თუ არ მხოლოდ საარშიყოთ!?

—

სატრფიალო ბანოვანნი
ჩვენში ხშირად ასე სდგანან,
თავს სხვის ღვაწლიდ[illegible]
საკუთარი რას მიქვიან!..

როკოკო.

„გრძნეული სავარძელი“

მე არა მგონია საქართველოს რეალურ, ან ისტორიულ ტერიტორიაზე დღეს მოიპოვებოდეს თუ გინდ ერთი ისეთი ქართველი, რომელსაც არ გაეგონოს „ქალი გრძნეული“. ეს ის „გრძნეული ქალია“, რომელმაც 1915 წლის დასაწყისში ჩვენი მიდუნებული ინტელიგენტური ცხოვრება ძირ-ფესვიანათ შეარყია, თავის თფილ საბუდარიდან წამოაგდო და კრუნი დედალივით ააქანა. დიდს თუ პატარას, ქალს თუ კაცს, ერს თუ ბერს ყველას პირზე ეკერა ახალგაზრდა პოეტისგან გალექსილი მშვენიერი ზღაპარი. ყველას თვალწინ ეხატებოდა ოქროსგან აგებული და ჩუქურთმებით „მოპვარკვალებული“ მშვენიერი კოშკი და შიგ მჯდომარე მომჯადოებელი სილამაზით აღსილი „გრძნეული ქალი“... „გრძნეული ქალი“, რომლის ღვთაებრივი სიმშვენიერე, მზიური ღიმილი და „გრძნეული ენა“ მთელი დედამიწის რჩეულს ახალგაზრდებს ხიბლავდა, აჯადოებდა და თვისკენ ილურსმავდა. დედამიწის ყოველი კუთხიდან ედინებოდა მის სახილველთან „მზიური“ ვაჟები. ყველა ცდილობდა მისი გულის მოგებას და მისი ალერსით დატკბობას. მაგრამ... ჰოი საშინელებავ! როცა რომელიმე ვაჟს გაუღიმებდა ბედი, როცა დაეკონებოდა ის გრძნეული ქალის ლალისფერ ტუჩებს და განიცდიდა წუთიერ სიტკბობას მისი ალერსისას... მაშინვე სული ვაჟისა სხეულს შორდებოდა და მიჰქროდა წიაღსა შინაგანიერაამისასა. მაგრამ ვაჟები მაინც არ ცხრებოდენ, ქალის გრძნეულება იმდენათ აჯადოებდა მათ, რომ უბრალო „თავდაცვის“ ინსტინქტსაც კი ახშობდა მათში. და ასე, ამ რიგათ ვაჟთა რიგი, რიგს სცვლიდა, წყება-წყებას, ქალი კი ისევ ქალათ რჩებოდა...

დამეთანხმებით, მშვენიერი ზღაპარია!... მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს მშვენიერი ზღაპარი მეორე დღესვე ჩვენს ცხოვრებაში სინამდვილეთ იქცეოდა?.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მოგეხსენებათ „რუსეთში ყველაფერია მოსალოდნელიო,“-სთქვა ერთხელ საბერძნეთის გამოჩენილმა დიდმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ, როცა ის მოგზაურობდა რუსეთში.

დიახ ზღაპარი სინამდვილეთ იქცა! ვინც დღეს ოდნავ მაინც თვალ-ყურს ადევნებს რუსეთის ცხოვრებას, ის უეჭველათ შეამჩნევდა, რომ მის ეხლანდელ დედა ქალაქში აღმართულა საზღაპრო კოშკის მზგავსი მაღალი შენობა, რომლის წვერი ღრუბლებამდის წვდება. მაგრამ განსხვავება ზღაპარსა და სინამდვილეს შორის მხოლოდ ის არის, რომ ამ სინამდვილეში არსებულ კოშკში „გრძნეული ქალის“ მაგიერ სდგას „გრძნეული სავარძელი“... რომელსაც დღეს „მინისტრთა სავარძელს“ ეძახიან...

და აი ამ „გრძნეული სავარძლის“ ირგვლივ რიგ-რიგათ ჩამწკრივებულან ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მათი თვალი „გრძნეულ სავარძელს“ მიულურსმავს. სავარძელი კი სდგას თავისთვის; მისი ალისფერი, ხავერდოვანი ტანსაფარავი ისე ელვარებს და ბრწყინავს, რომ ერთი მისი შეხედვა ტკბილ ჟრუანტელს იწვევს ყველა მაცქერალთა ტანში; მისი რბილი „პრუჟინიანი“ საჯდომი და საზურგე ისე ნაზათ ირხევა... ისე ირხევა... თითქოს ეძახის მოყურადეს: „რას უყურებ, მოდი დაჯექი და ტკბილათ განისვენე ჩემს გრძნეულ გულ-მკერდზეო“. გული ყველას უთრთის, უფანცქალებს, ყველას სწყურია დასტკბეს იქ მოსვენებით... მაგრამ აი დაჰკრავს საბედისწერო წამი და სავარძლის კვარცხლბეკზე ადის რჩეულთა რჩეული. „ახალი“! გაისმის რაღაც იდუმალი ხმა და ეს ხმა მსწრაფლ შემოირბენს მთელ თვალუწვდენელ რუსეთს. ხალხი ღრმა ძილისაგან გამოირკვევა, და სახეზე იმედის სხივს ათამაშებს... მაგრამ აი შეეხო რჩეული სავარძლის რბილ ნაწილს, ზურგით საზურგეს მიეყრდნო, დადგა უმაღლესი სიტკბოების ჟამი... ჰოი საშინელებავ! უეცრად დაიჭექებს ცა, სადღაც ბნელ სივრცეში გაისმის ქუხილი, სავარძლის საზურგე მსწრაფლ მოსწყდება საჯდომს... საშინელი უფსკრული იკრავს გულში რჩეულსა მას.

მალე ყოველივე წყნარდება. საზურგე ისევ საჯდომს მიეჭდობა,—სავარძელი მთელდება და უცდის ახალ მორიგეს. ასე სცვლის რიგი—რიგს წყება-წყებას... სავარძელი სავარძლათ რჩება...

პოლგიპენტა.

ქრონიკა

✦ **სურსათ სანოვაგის საკითხი.** ლანჩხუთიდან საკუთარი კორესპოდენტი, ბ ნი სირის-თაგვი, გვატყობინებს, რომ დაბას უკვე მოსვლია ერთი ვაგონი ბანქო (კარტი) და ერთი ვაგონი კამათლები. **მწვავე** მოთხოვნილება აღნიშნულ პირველ-საჭიროების საქონლებისა დროებით მაინც დაკმაყოფილებულ იქმნება.

—

✦ **ახალი ლაზარეთი.** ხონის ვაჭართა ერთ ჯგუფს, როგორც ჩვენი საკუთარი თანამშრომელი გვაუწყებს, გადაუწყვეტია: „ეთხოვოს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების“ მთავარ გამგეობას გახსნას დ. ხონში ერთი თავშესაფარი თავგატეხილთათვის. თუ თავშესაფარში უბრალო დაბეგვილებსაც მიიღებენ, მაშინ საჭირო იქნება შენობა 100 საწოლით. მართალია, პარასკეობით თავ-პირ-დამტრეულთა და დაბეგვილთა რიცხვი ერთობ სჭარბობს ჩვენ მიერ ნაჩვენებ ნორმას, მაგრამ საშუალო რიცხვი 100 დაბლა არ დაიწევს. ვნახოთ რა პასუხს მივიღებთ.

—

✦ **ნამალადევის თეატრი.** საკვირველია ქართველი საზოგადოების საქმე! არა ერთხელ იყო გამო-

ცხადებული, რომ:—ფარდის ახდის შემდეგ პარტერში შესვლა შეუძლია მხოლოდ ბ-ნი ქართველიშვილის ახლო ნათესავებს, რომ შემდეგში უსიამოვნება არ გამოიწვიოს, საჭიროთ მიგვაჩნია განვმარტოთ: ნათესავთა სიაში შედის: ბებია, ბაბუა, ბიძები (დედითაც და მამითაც), მამიდა, დედიდა, ნათლიმამა, ნათლიდედა, ნათლულები, მამიდაშვილები, დედიდაშვილები. ნათლიდედის მახლები და მულები, იმათი ნათლიებიც. მღვდელი, რომელმაც შეასრულა მღვდელ-მოქმედება და ავარა ბიქები, რომელნიც ნათლობას დაესწრენ.

—

✦ როგორც გავიგეთ, იმავე თეატრის გამგეობას განუზრახავს ბილეთებზე ფასების მომატება. ეს განზრახვა იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ თეატრში ერთსა და იმავე დროს ორ ალგას სწარმოებს ხოლმე მოქმედება: „სეფსარი“ და „გალიორკაზე“.

—

✦ დაიწყო!.. კვირას, 11 დეკემბერს, დილის 12 საათზე დაიწო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებები. ბევრი ილაპარაკეს პირველ კრებაზე. ჩვენი საზოგადოების სასახელოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მან უკვე საფუძვლიანთ შეითვისა ჩვენი საყვარელი მგოსნის სოლომონ ზურგიელიძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი დღეებითი (და არა აღებითი!) მხარეები. თითეული ცალკე სიტყვა,—ეგ უკვდავი მგოსნის უკვდავ აფორიზმთა კრებული იყო, მაგრამ ამაზე შემდეგ. ჯერ მხოლოდ დაიწყო.

ახალი სიტყვა

ფედერალისტებს რომ კაცმა ჰკითხოს,—მე საშშობლო არა მაქვს.

ახირებული საქმეა, თქვენმა მზემ!

ახირებული იმიტომაა, რომ დანამდვილებით ვიცი სადა სძევს, რომელ მთის ძირათ, რომელი მდინარის პირათ არის გაშენებული ჩემი საშშობლო. მე ისიც კი ვიცი, რომელი გზით უნდა წავიდე იქ ქ. თფილისიდან; სად უნდა ჩამოვხტე მატარებლიდან, რომელ დუქანში უნდა შევიდე სადგურის მახლობლათ, რა უნდა მოვითხოვო დასანყრებლათ, რომელ მეეტლეს უნდა მივმართო, რომ ზრდილობით მომეპყრას და არ შემომიკურთხოს. ვიცი ყოველივე ეს იმიტომ, რომ არა ერთხელ და ორჯელ მიმგზავრია თფილისიდან ჩემ საშშობლო სოფელში.

ეს ვაკბატონები გამომდგარან და საქვეყნოთ გაჰკივიან:

— ეშმაკს საშშოილო არა აქვს, ეშმაკი საშშობლოს მოღალატეაო.

დიდება შენს სახელს ჯოჯოხეთო! მე ვარ საშშობლოს მოღალატე? გაგონილა თქვენიპირიმე ასეთი ცილისწამება?

როცა მე ჩემი საშშობლო სოფლისკენ პირს ვიზამ ხოლმე, თქვენ მაშინ უნდა მოხვიდეთ ჩემთან და გულზე ხელი დამადოთ. იმისი დაუდგრომელი ბაგა-ბუგი უტყუარი საბუთი იქნება ჩემი განუზომელი სიყვარულისა.

აქედან ცხადია, მე საშშობლო კიდევაც მქონებია და კიდევაც ყვარებია.

და განა შეიძლება კაცს არ უყვარდეს ისეთი კოხტა, ისეთი მდიდარი, ისეთი კეთილ მოწყობილი და ბედნიერი კუნჭული, როგორიც ჩემი საშშობლო სოფელია? ეჰ, ფედერალისტებო, ფედერალისტებო! ნეტავ არ იცოდეთ ასე წარა-მარა სხვათა საშშობლოსათვის ხელის წამოკვრა!

ის გიჟი მდინარე, რომელიც ჩემს საშშობლო სოფელს ჩამოუარბის, არასოდეს არ იტყვის იმას, რასაც ეს ჭკვიანი და ნასწავლი ხალხი ლაპარაკობს. არ იტყვის იმიტომ, რომ მას არა ერთხელ დაუნახივარ მისი ნაპირის ცხელ ქვიშაზე გაგორებული, მის ტალღებში მობანავე, მისი სიმშვენიერის შემყურე და იცის, რომ მისი ნაპირები ჩემი საშშობლოა, ისიც იცის, რომ მე მიყვარს ეს ჩემი საშშობლო.

გარწმუნებთ (რასაკვირველია, არა ფედერალის-

ტებს, ვინაიდან მათი დარწმუნება შეუძლებელია), რომ მარტო ამ კალმით აუწერელ სიმშვენიერისათვის არ მიყვარს მე ჩემი სამშობლო სოფელი. არა. ჩვენში ყოველი ხის ძირი მშვენიერია. მე ის სხვა რამისთვისაც მიყვარს. მიყვარს, როგორც მოწინავე სოფელი, როგორც ცენტრი ახალი მიმდინარეობისა, ახალი სიტყვისა.

როცა მე ჩემს სამშობლო სოფელს ვუახლოვდები, მე, თფილისიდან მიმავალი, ყოველთვის ვგრძნობ რაღაც სასიამო მოლოდინს. ვიცი, რომ აქაური ცხოვრება გაცილებით წინ იქნება წასული, ვიდრე დამყაყებული ყოფნა თფილისისა.

თფილის ქალაკს კი დიდათ მოაქვს თავი თავისი კულტურული ცენტრობით!.

ვიცი, ფედერალისტები ამას ტრაბახობაში ჩამომართმეენ, მაგრამ ვინ არ იცის, რომ მე ტრაბახა არა ვარ. დამიფაროს ძალმა ჯოჯოხეთისამ! ჩემს ძვირფას სამშობლოს მე ერთ გადაპარებულ სიტყვას არ შევაწევ, ანკი რათ ესაჭიროება მას ზედმეტი, როცა სინამდვილეც აველაფერს ჩვარობს.

აი ახლაც. ძლივს მოგაწვალ, ოთხ-ხმდინარეზე გადაკიდულ მშვენიერ ხიდზე გასვლა, ძლივს მოვასწარი საუცხოო ბაზრის თავში ჩადგომა, რომ უეცრივ, პირველისავე სამკიტნო დუქნიდან ჩემს ყურს უჩვეულო ლაპარაკი შემოესმა.

— ეი, კენჯერო, ბ-ნი ლომი საათ ბრძანდება?

— რა მოგახსენოთ, ბატონო, წელან ტახს მიჰყვებოდა აი ზემოთ, ალბათ ეკლესიის გალავანში იქნება.

— უთხარი, თუ ღმერთი გწამს, ბაჭიასთან შემოიაროს, ვეფხვი გიცდის იქა-თქო. არ დაგვიწყდეს.

მე ხმაზე ვიცან ბ-ნი ვეფხვი. ის ჩემი საუკეთესო მეგობარია. მხიარული, ყადრიანი, ჭირშიაც და ლხინშიაც გამწევი. ახლა მას თავს ყაბალახი ეხვია, სახეზე ცოტა მუქი ფერი დაჰკრავდა. თუ ჩემი მეხსიერება არა მღალატობს თავისს ახალ როლში იგი ასეთი იყო.

ჩვენ ერთმანეთს მეგობრულად მივესალამეთ. ადამიანს მაშინვე შეატყობ ესიამოვნა, თუ ეწყინა შენი ნახვა და ჩემ შთაბეჭდილებას ჩვენი ძველი მეგობრობისათვის ოოტის ოდენა ჩრდილი არ მიუყენებია. თუმცა ის ახლა ასეთ საპატიო პიროვნების როლს ასრულებს.

მე ამ პირველ საუბრის გაგონებისათანავე ვიგრძენი, რომ ჩემი სამშობლო სოფელი ჩვეულებისამებრ „ახალი სიტყვით“ მიმასპინძლდებოდა და მთელის ჩემი გულისყურით დავეწაფე მას.

— აი, ბატონი ლომიც გამოჩნდა! —სიამოვნებით წარმოსთქვა ვეფხვმა და ჩემ თვალწინ გამოიხა-
მეორე ჩემი სიყრმის მეგობარი.

— ნეტავ ტახი რა იქნა?

— ალბათ ლოცვათ დადგა,—მიუგო კენჯერმა.

ჩემი ცნობისმოყვარეობა წუთობით იზრდებოდა. რასაკვირველია ადრე, თუ გვიან მე გავიგებდი ამ ახალი ნომენკლატურის ნამდვილ შინაარს, მაგრამ მაინც სული მისწრებდა.

— კრება ვგონებ სრული დარჩეს;—წარმოსთქვა დინჯათ ბატონმა ლომმა,—აი მარცხენა ფრონტზე ცოცვი გამოჩნდა, მარჯვენაზე მელა.

მე კვლავ მოვიხედე და ორ ჩემს ძველსა და საყვარელ მეგობრებს მოვკარ თვალი. მათ დანახვასა და სახელების გაგონებაზე უნებლიეთ ღიმილი მომივიდა. ველარ მოვითმინე:

— რამდენადაც პირველი მომწონს, იმდენად მეორე ვერ შემოფერებია,—შევნიშნე მე.

ჩემი შენიშვნა, რასაკვირველია, ჩემს ჩამორჩენილობას მიეწერა და, როგორც შემდეგში დავრწმუნდი, სრულიად სამართლიანადაც. მელა, საუკეთესო ჩემი მეგობარი, ამ სახელით მისი სიჩუმისა და პირს ღიმილ მიუკარებლობისათვის მოენათლათ.

სულ მალე გამოჩნდა გარეული ვეფხვი და საღამო ხანს ნელა ჩამოდგა გარეული ლომიც.

ბ-ნი კენჯერი სამსახურის კაცია და ჩქარა მოგვშორდა. მას, ეანამდებობის გამო, სოფელში სიარული უხდება და ჩემი სამშობლო სოფლის გზებზე ამ თანამდებობას სხვა ვერაფერ შეასრულებს თუ არ კენჯერი. სახელწოდება პირდაპირ გენიოსურია და ეს რომ კაკაველ მოდელს, გიორგი ნათაძეს, მოეფიქრებინა, უფიქრია თავს წაგვეპამდა კვეხნით. მას ისიც დიდ სატრაბახო საქმეთ მიაჩნია, რომ ქართველ ბავშვებს ქართულ სახელს არქმევს.

ერთი ლოქი მაკრით ხელში ჩვენ აეიდით იმ მაღლობზე, რომელიც თავს დაჰყურებს ჩემს სამშობლო სოფელს. აქ ბრძანდებოდა ბატონი ლომი, ვეფხვი, გარეული ვეფხვი, და ზოგიერთი სხვანიც. მე ვითხოვე განმარტება საიდუმლოებისა და ბ-ნმა ლომმა დიდის ლაღაგებით გამანდო შემდეგი.

— შენ კარგად მოგეხსენება, ბ-ნო სპილოვ, (ეგ სახელი ნაჩქარევად მეწოდა მე, ვინაიდან სხვა ყველა უკვე დახარჯული იყო), რომ ცხოვრება უკვე დადგა იმ გზას, რომელმაც კაცობრიობა თავის ლოდიკურ განვითარებამდე უნდა მიიყვანოს. საერთაშორისო ომი სწორეთ დროზე დაიწყო, თორემ თუ ის კიდევ რამოდენიმე საუკუნით უკან დაწყებულიყო, ადამიანს ერთობ გაუჭირდებოდა ის გარდაქმნა, რომელიც მას ღღეს უწევს...

მე სმენათ გადავიქეცი. სრულიად გადამავიწყდა ოდნავ შუშხუნა მაჭარი, რომელიც ჩაის ჭიქით ჩემს წინ იდგა და გამანადგურებელ შესენთქვას ელოდა. გულისყურით უსმენდენ სხვა წევრნიც ჩვენი შეკრებულებისა, თუმცა უსმენდენ არა იმ მიზნით, რომ ახალი რამ გაეგონათ, არამედ იმისთვის, რომ ბ-ნ ლომს სიმართლისათვის არ გადაეხვია და პროგრამის მუხლები ნათლათ გაერკვია.

— მაშ აგრე,—განაგრძო მან, — კაცობრიობა ჩქარის ნაბიჯით უახლოვდება იმ პირველყოფილ მდგომარეობას, საიდანაც მან განავითარა დღევანდელი რბული კულტურა...

— არ დაგავიწყდეს, რომ განსაკუთრებით ვითარდება მიმბაძველობა, რაიც უტყუარი ნიშანია მაიმუნთა დონეზე მიახლოვების,—გააწყვეტინა ვეფხვმა, და ამ მკრეხ პაუზით ისარგებლა ბ-ნმა ლომმა, რომ ერთი ჭიქა მაჭარი გაენადგურებია.

— სრული ჭეშმარიტებაა...—განაგრძო ისევ ლომმა,— რასაც ერთი ერი იზამს, იმას იმეორებს

მეორეც, მიუხედავათ იმისა, თუ რა ხასიათისაა საქციელი პირველი ერისა. წამბაძველობა პირველი საფეხურია, მაგრამ ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ კაცობრიობა ამ საფეხურზე შეჩერდება და ჩვენ მაიმუნზე დაბლა არ დავეშვებით?

— მოულოდნელი აქაც არაფერია, ვინაიდან ცხოვრებაში ნახტომიც ხშირათ ხდება,—შენიშნა ბატონმა მელამ,—მაგრამ ჩვენ ყველაფერი წინასწარ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს და საალალბედოთ საქმეს არ დავენდოთ.

— აი ამიტომაც ჩვენ ავირჩიეთ თითქმის უკანასკნელი საფეხური,—განაგრძო ლომმა,—ჩვენის ღრმა რწმენით და არა მარტო რწმენით, არამედ იმ მაგალითების მიხედვითაც, რომლებსაც დღევანდელი ევროპა უხვათ იძლევა, ადამიანთა მოდგმა უთუოდ მხეცთა დონეზე ჩამოვა.

— ყოველივე ეჭვს გარეშეა!—დაუდასტურა ვეფხმა და განაგრძო,—თუ კაცობრიობას გამხეცება უწერია, და რომ ეს სათუო აღარ არის, თითქმის ყველა ხედავს, მაშ რატომ არ უნდა შევხვდეთ ამ ცვლილებას მომზადებულნი? აი რისთვის მოვახდინეთ ჩვენ ძველი ნომენკლატურის აღდგენა და ნურას უკაცრავად, თუ სხვა ერთათვის უფრო დაბალი ცხოველები დავსტოვეთ.

— რასაკვირველია, თუ შესაძლებელი კი იქნება მხეცთა ფრონტზე კაცობრიობის დაქვეითების შეჩერება, ჩვენ ვეცდებით საუკეთესო მხეცთა სახელები მაინც მივითვისოთ,—წარმოსთქვა ციყვმა და ულვაშებზე თათი გადაისვა.

ფრთად ერთი ბ-ნი ბაჭია არ არის მომხრე ამ



სახელთა განაწილებისა. როდესაც მას ჰკითხავენ— გვითხარი ლომი და ვეფხვი სად არიანო, ის ყოველთვის ასე უპასუხებს ხოლმე:

— ლომი და ვეფხვი გუშინ ტურამ შესჭამაო.

აქედან აშკარაა, რომ ბ-ნი ბაჭია არ ეთანხმება არა პრინციპს, ზემოთ გამოთქმული მოძღვრებისას, არამედ სახელთა ვანაწილების სამართლიანობას. აქ, რასაკვირველია, ყველას თავისი აზრი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ძირითადი დებულებანი, რომელზედაც აღმოცენდა ზემოაღნიშნული ცვლილებანი სახელწოდებაში, თითქმის უკამათოდ არის მიღებული ჩემი საყვარელი სამშობლო სოფლის ინტელიგენტთაგან.

ამის შემდეგ გამოვა ვინმე გზა-აბნეული ფედერალისტი და მეტყვის: შენ სამშობლო არა გაქვსო!

ბ-ნებო! იწამეთ ღმერთი, იკმარეთ ამდენი ცილისწამება!

ეშმაკი.

სახუმარო რვეულიდან

3

ვაი ვირისაგან

(არც ისე სახუმარო დასასრულით)

ა.

ოქროპირ კაკიტაშვილს მთელ სოფელში ერთი კაციც კი არ ეპყრობოდა პატივისცემით და სიდინჯით. ყველა მასხარათ იღებდა, ყველა ყბას უქცევდა, თუმცა სახუმარო არც გარეგანი ჰქონდა და არც შინაგანი ავლადიდება. მუდამ ისეთის სიტყვებით ლაპარაკობდა, რა სიტყვებითაც სხვები მეტყველებდენ, უჩვეულო რამე არც დიდი ჭკუიანი და არც სრული სისულელე—თავის სიცოცხლეში არ უთქვამს; სხვებივით იცვამდა, სხვებივით იხურავდა, ყველას მიერ მიღებულ და მოწონებულ საჭმელს გეახლებოდათ და სასმელს მიირთმევდა; სხვებივით დგებოდა, წვებოდა, მუშაობდა, ლოცულობდა... მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, მაინც დასცინოდნენ, მისი არაფერი არ მოსწონდათ და ყოველგვარ მის ლაპარაკს, თუ მოქმედებას, მთელი სოფლის ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა ღიმილით ისტუმრებდა. როგორც კი ოქროპირი რაიმე სიტყვის თქმას დააპირებდა, მაშინათვე ან სიცილს დააყრიდენ და მით ენას მუცელში ჩაავდებინებდენ და, ან მიწასთან გამასწორებელის ღრეჭით მოშორდებოდენ.

— ეჰე, დაიწყო ოქროპირმა,—წამოიძახებდა ერთი ვინმე და ყველა: „მოვუსმინოთ, მოვუსმინოთ“ ძახილით შემოეხვევოდა. დამფრთხალ ოქროპირს თვალები აებნეოდა, გული გამალებით ცემას დაუწყებდა და მოზღვავებული გრძნობა ერთიანათ აურევდა ენას, რომელსაც ბოლოს და ბოლოს აზრების გაფანტვის გამო სათქმელი არაფერი რჩებოდა და ტყვილა დაიწყებდა ბორგვას პირში. ოქროპირის გამომეტყველება საშინელ სახეს ღებულობდა ამ დროს, მისი თვალები მოჩიფჩიფე ტუჩების შეოხებით უენოთ ემუდარებოდენ თითეულ იქ მყოფს.

— შემიბრალეთ. მეც კაცი ვარ, მოისმინეთ ბოლომდის ჩემი ნათქვამიო.

მაგრამ ოქროს მაინც არავინ იბრალებდა, არავინ თანაგრძნობით არ ექცეოდა. ეს კიდევ ცოტაა, სოფლელები გაცილებით უფრო შორს მიდიოდენ ოქროპირის ყბათ აღებაში: სხვა რო ავათ გახდებოდა, ყველა წუხილს გამოსთქვამდა, ოქროპირის ავათმყოფობა კი ყველას სიცილს იწვევდა.

— არ მოგვიკვდეს, თვარა ცის სვეტი გამოვარდებაო,—იტყოდენ და ჩვეულებრივ გაიღიმებდენ. რომელიმე გლეხს სოფელში ქათამიც რომ მოკვდომოდა, მეზობლები თანაგრძნობას გამოუცხადებდენ, ხოლო ოქროპირს ხარიც რო დაკარგოდა, არავინ ხმას არ გაიღებდა, პირიქით სიცილს დაუწყებდენ—რათ ვერ მოუარეო.

თითონ სახელ „ოქროპირსაც“ სასაცილოთ უწოდებდენ და ყველა იმას ცდილობდა, რომ ამ სიტყვის წარმოთქმისას სახეზე ისეთი გამომეტყველება მიეღო, რომ მის მიერ ნათქვამი უაღრესად სასაცილო და დამამცირებელი ყოფილიყო. სოფელში სხვასაც ერქვა ოქროპირი, მაგრამ მათ ოქრუას ეძახდენ, არავინ აზრტყელებდა მათ სახელს, ხოლო კაკიტაშვილის სახელი კი უთუოდ გაჭიანურებით და ერთგვარი შეჩერებებით უნდა ეთქვა:—ოქრო... პირი, ოქქროს... პირო,—ასე მიმართავდენ კაკიტაშვილს, რომელსაც მთელი არსება ეწამლებოდა ამ დროს და ცდილობდა არ შეეხედა დამძახებლისათვის, რათა ერთხელ კიდევ არ დაეჭირა ის გამანადგურებელი ღიმილი, რომელიც უთუოდ აღბეჭდილი ჰქონდა ამ დროს „ოქროპირის“ მთქმელს სახეზე. ოოჰ, რომ იცოდეთ რამდენს გადიხდიდა ოქროპირი, რომ მისთვისაც ოქრუა ეწოდებიათ! რამდენს ემდუროდა მშობლებს, რომ ასეთი სახელი დაარქვეს მონათვლისას! კაკიტაშვილს ისე შეაძულეს თავისი სახელი, რომ სიტყვა „ოქროს“ გაგონებაც კი სისხლს უმღვრევდა—ეგონა ჩემდა გასაგონებლათ ამბობენო.

ბ.

ერთ მშვენიერ დღეს ოქროპირის მოხუცმა ბიძამ მხოლოთ ერთი საკეთილო საქმე მოიმოქმედა მისი ძმისწულის სასარგებლოთ: სრულიად მოულოდნელათ ფეხები გაჭიმა და საიქაოს გადაბარგდა საცხოვრებლათ. არ დარჩენია არც შვილი, არც ძირი, ასე რომ მთელი მისი ქონება ოქროპირის საკუთრება შეიქნა. სიცოცხლეში სიახლოვესაც არ იკარებდა ოქროპირს, ფეხს არ ადგმევინებდა ადგილ-მამულში და მუდამ იმას აყვედრიდა, რომ ჩემ შემდეგ შენ დაგრჩება ყველაფერიო.

— მაშინ მოიხმარე ჩემი ქონება, მაშინ, შექვეყნის სასაცილოვ, შენო,—ეტყოდა გესლით ბი-

ძია ოქროპირს,—ახლა კი მომშორდი, არ მომეკარო სიახლოვესო და მართლაც განდეგილივით ცხოვრობდა. რაკი დაინახა, რომ ორი ქ[illegible]რის ხელში უშვილო შეიქნა და ცოლებიც დაეხ[illegible]კა, სთქვა, რომ ალბათ ღმერთს არ სურს ჩემთან ვინმეს დაახლოვება და გადასწყვიტა თავისთვის ეცხოვრა: არც არავის მიეკარებოდა და არც სხვა მიეკარებია.

— არც ჩემსას გავატან სხვას და არც მე მინდა სხვისი რამეო,—ამბობდა ოქროპირის ბიძა და მთელი თავისი ცხოვრებაც ამ პრინციპის შესაფერათ მოაწყო.

და აი ასეთი ბიძია გარდაეცვალა ჩვენს ოქროპირს.

— გეშველა ოქროპირო, გეშველაო,—მიულოცა მთელმა სოფელმა და ოქროპირმაც სიამოვნებით ამოისუნთქა, თუმც სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ მას დიდათ საწყენათ დაურჩა ბიძის გარდაცვალება და გულწრფელათაც იტირა. ქონებისადმი სიყვარულმა სრულად ვერ ჩააქრო მასში ადამიანური გრძნობა და გულის წმინდით იგლოვა ბიძის დაკარგვა. ტყვილა ეუბნებოდენ სოფლელები—ტირილი კი არა სიცილი გმართებსო, ოქროპირი ოწიწებით ასრულებდა მიცვალებულის პატივსაცემათ მიღებულ ყოველ გვარ წესს და ბევრმა, განსაკუთრებით ქალებმა, კიდეც მოუწონეს ეს. ბიძის ქონებაც ერთობ აუჩქარებლათ, დინჯათ და მოწყენილის გამომეტყველებით ჩაიბარა მან, ესეც ბევრისათვის მოსაწონი დარჩა.

— ბიჭოს, ჩვენი ოქროპირი არც ისე სასაცილო კაცი ყოფილაო,—სთქვა ბევრმა,—შეხე, როგორის სულგრძელობით იქცევაო. ხოლო როცა ოქროპირმა გარდაცვალებულ ბიძას ბევრ ეკლესიაზე და მონასტერშიც კი საწირავი გასცა, მთელმა სოფელმა თითქოს შეინანაო ოქროპირის წინაშე რაც ცოდვა მიუძღოდა, გაკვირვებით სთქვა:

— შეხედეთ ჩვენს კაკიტაშვილს, რამდენათ ყვარებია ბიძაო.

ამ დღიდან თითონ ოქროპირიც კი დარწმუნდა, რომ მთელმა სოფელმა მაზედ აზრი შეიცვალა და ახლა სულ სხვა თვალით უყურებდა. ის მართლაც გამოიცვალა ყველას თვალში და უწინდებურათ როდი ექცევიან, ჴრთი იმიტომ, რომ ოქროპირი შედარებით შეძლებული გახდა და დღეიდან როდი იქნება ქვეყნის სამოწყალო და შესაბრალისი, პირიქით—აწი ის იქნება სხვის[illegible] ერთობ ხელ მომთბარმა ბიძამ მიწაც [illegible] დაუტოვა და ფულ[illegible]ც, თუმც გასესხებული. მეორე მიზეზი ის გახლდათ, რომ ოქროპირმა დამშვიდებულის გულით და სინდისით მიიღო ყველაფერი ეს, სრულებითაც არ გამოუხატავს სულელური სიხარული და უპატივცემო მოპყრობა ბიძის სახელისადმი. აი ყველაფერ ამისთვის სოფელმა დაივიწყა ძველი ოქროპირი და სულ ახალ კაცად დაისახა იგი. ოქროპირმაც იგრძნო ეს და წელში გასწორდა, გათამამდა, უკვე გაბედულათ შესცქეროს სოფელ-ქვეყანას. მანამდე თუ ლაპარაკის დროს კაცს თვალში ვერ შეხედავდა და მღელვარების გამო ძვირათ თუ დაასრულებდა თავის აზრს, დღეს ასეთ რამისაგან ერთიანათ თავისუფალია და უკვე გრძნობს პირად ღირსებას: არა[illegible]ისი არ სცხვენია, არ ეშინია. მთელმა ქვეყანამ სულ სხვა სახე მიიღო მის თვალში, სხვა ელფერით შეიმოსა. „კი ღირებულა ქვეყანაზე ცხოვრებაო", გაიფიქრა გულში, ბიძას მეათასედ შეუთვალა ცხონება და თითქმის სულ დაივიწყა ის შავბნელი დრო, როცა მთელი სოფლის თვალში სასაცილო არსებას წარმოადგენდა. უწინდელი გაბოროტებაც ამოირეცხა მისი გულის სიღრმიდან და ახლა კაცი არც სძულს და არც მისი ეშინია უწინდებურათ.

გ.

შინაგან განახლებას გარეგანიც მოყვა: კარგი ჩოხა შეიკერა, ისე ახალოხი, ქუდი, ბავშები ჩამოსა და ახლა ჯერი მიდგა ოჯახის გაუმჯობესებაზე. თავის დროზე არ იყო ნათქვამი, რომ ოქროპირი ადრე დაქვრივდა და ორი ბავში დარჩა. ცოლის სიკვდილმა ისეთი ძლიერი გავლენა იქონია მასზე, რომ გადაწყვიტა უცოლოთ დარჩენილიყო და მთელი თავისი სიცოცხლე უდედოთ დარჩენილ ქალ-ვაჟისთვის შეეწირა. მართლაც ასე მოიქცა და აგერ მეორმოცე წელშია და მეორე ცოლის ძებნა აზრათაც კი არ მოსვლია, მაგრამ ახლა კი შეუჩნდენ სოფლის მაჭანკლები და ოქროპირსაც ცოტა არ იყოს გული აუთამაშეს.

— რათ გინდა ამდენი ქონება, თუ ცოლშვილში არ მოიხმარ, ქალი გაგირეცხს, გაგიკერავს, საჭმელს გაგიმზადებს, მოგივლისო,—ეუბნებოდენ და ოქროპირმაც შედარებით მალე იცნო ამ საბუთების

სიძლიერე. მაჭანკლის დაჟინებით წვერები კოხტათ შეიპარსა, მოირთო, ძველ ყალიონს ტარი გამოუცვალა და ქალებისკენაც დაიწყო ჭვრეტა. შესაფერი სასძლოც მალე გამოჩნდა და საქმეც თითქმის გადაწყდა. მაგრამ ოქროპირი ამბობდა: ჯვარს მანამდი არ დავიწერ, სანამ სახლ-კარსაც არ გავაუმჯობესებ და ხარ-ურემს არ შევიძენო. ახლა მთელ ნათესავებს ყველას მოეწონა ესა და კიდეც შეუდგენ ხელის შეწყობას. რადგან ნაღდი ფული ოქროპირს იმ ჟამათ არ დაურჩა, ასწია და ორი ქცევა მიწა გაყიდა. სახლ-კარის შეძენა აბა ერთი სულის შებერვით ხომ არ მოხდებოდა და ოქროპირიც შესაფერი გეგმის გამომუშავების შემდეგ შეუდგა საქმეს. ჯერ უნდა ეყიდა უღელი ხარი მისი ურმით, მერე კი სახლი უნდა შეეძინა, მაგრამ მაინც ყველაზე ადრე გადასწყვიტა ერთი ვირის ყიდვა. „წისქვილში საფქვავს ჩავატანინებ, ხარებზე უფრო კაი მოსახმარი და შესანახია, მთიდან ფიჩხს ჩამოიტანს და ხანდიხან ცუდ ამინდში ცხენის მაგიერობასაც კი გავაწევინებო“ გაიფიქრა ოქროპირმა და ფიქრიც მალე მოიყვანა სისრულეში: შვიდ მანეთად იყიდა ერთი ვირი და ღიმილით მოგვარა შვილებს.

— ვააა...აჰ..აჰ..აჰ...აჰ...აჰ,—გულ ამოსკვნით დაიყროყინა ვირმა ოქროპირის ეზოში ჩასვლისთანავე. ოქროპირი ღიმილით უყურებდა ვირის ყროყინს, ბავშვები კი სიხარულით ცას ეწეოდენ.

— ბიჭოს, ეგ რა ამბავიაო,—წამოიძახეს მეზობლებმა და ხელათ მოყვენ ვირის ყროყინს. ოქროპირის ეზოში ვირის დანახვაზე ერთი გაიკვირვეს. საიდან გაჩნდაო, მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ ვირი ნაყიდი იყო და მომავალშიც ხშირათ მოისმენდენ მის უებარ ამოოხვრას, საერთო ხარხარმა მოიცო იქაურობა, დიდი თუ პატარა იცინის, მხოლოთ იცინის.

— კაცო, მამული გაჰყიდე და ვირი იყიდე? შეეკითხა ერთი მეზობელთაგანი ამ საერთო სიცილში. ეს შეკითხვა საკმაო იყო, რომ საერთო სიცილი ერთი ათად გაძლიერებულიყო და ხარხარათ გადაქცეულიყო.

— ოქროპირმა მამული გაყიდა და ვირი იყიდა, ხა... ხა... ხა... გაისმის ირგვლივ.

ოქროპირი მოკვდა, მიწასთან გასწორდა, ისევ ძველ მდგომარეობას უბრუნდება, უნდა რაღაცა თქვას, თავი იმართლოს, მაგრამ დამცინავი სახეები ეშმაკებივით შემოეხვიენ და ერთიანად დაეფანტა გონება.

ამ [illegible]ესვე გაიგო მთელმა სოფელმა ეს ამბავი.

— [illegible]ა... ხა.., ხა...,—გაისმა საპასუხოთ ყველგან,—ს[illegible]ყალი ოქროპირი, სასაცილო იყო და სასაცილოთ დარჩება! ოჯახის გადაკეთება და გამშვენიერება ვირის ყიდვით დაიწყო! სხვას ვერაფერს მიაგნო?!

— ვააჰ, ვაჰ, ვაჰ... ყროყინებს თავისებურათ ვირი, რომელიც სრულებითაც ვერ ამჩნევს, თუ რა ამბები დატრიალდა მის გარშემო, ოქროპირს არც ის იბრალებს, პირიქით მგონი კიდეც დასცინის—რაღაც ისეთ ნაირათ ელმიჭება ჩიჩვირი თავის მუსიკალური არსების გამომზეურებისას.

— ეჰე, ოქროპირის მესაათე აყვირდა! რომელი საათია, კაცო, რომელი? გაისმის მთელ სოფელში,—კაცო, მაგ სხვა ვირია, სხვა: მამულის ნაფასურია, ცუდათ არ ახსენოთ.

ოქროპირს ესმის ყველაფერი ესა და რა ქნას არ იცის, მთელ მისს არსებას საშინელი სიბრაზე იპყრობს. „რა არის ვირის ყიდვაში ცუდი,—ეკითხება თავის თავს,—ვირი სასარგებლო ცხოველია, ვამუშავებ, წისქვილში დასაფქვავს წავიღებ, წყალს მოვატანინებ. რა არის აქ სასაცილო, რას მერჩიან“ არ იცის რითი გასცეს ამ კითხვებს პასუხი, რითი შემოუაროს. ხოლო ის კი იცის უკვე რომ ამ წყეული ვირის ყიდვამ ერთიანად დაასამარა მისი აღდგენილი პიროვნება, ერთიანად მოსპო და მიწასთან გაასწორა. ის იყო სოფელმა გადაივიწყა ის დრო, როცა ოქროპირს სამასხროთ იღებდენ, ის იყო, კაცათ მიიჩნიეს, აბუჩათ არავინ იგდებდა, ლაპარაკს აცლიდენ, უსმენდენ, უახლოვდებოდენ, სასოფლო საქმის მოგვარებისას მასაც ასაქმებდენ—ხელოსნათაც კი აირჩიეს და:. უცებ ისევ ძველ ოქროპირათ იქცა, ისევ დასცინიან და მიწასთან ასწორებენ. რათა მერე, რისთვის? „განა ვირი არ არის სასარგებლო ცხოველი,—ამბობს ისევ ოქროპირი,—ხარი[illegible]რო მეყიდა, მაშინ ხომ არავინ დამძრახავდა, რითაა ვირი ხარზე ნაკლები?“

— მამული გაყიდა, ვირი იყიდა,—იცინის ისევ სოფელი,—ჭკვიანი კაცია, მესაათე შეიძინა, ხა... ხა... ხა...

— უბედურო ბეჟანა,—ამბობენ ოქროპირის ბიძის შესახებ,—ვის დარჩა შენი ქონება! ვირების

საყიდლათ დატოვე შენი მიწა წყალი?

ოქროპირს მომავლის გეგმები ერთიანად დაეფუშა, აწი არც სახლის ყიდვა უნდა და არ ხარებს, ჯანდაბას ყველაფერი! ნეტავი იმ ეხლობულ ბიძა მისს ერთი მანეთის ქონებაც არ დაეტოვებია მისთვის; როგორც იქნებოდა გაეტარებდა თავის დღეს და ახლა კი რა უქნას ამდენ რამეს, თუ სოფელმა ყოველგვარი მისი ნაბიჯი სასაცილოთ აიღო, ოქროპირი დარწმუნებულაა, რომ დღეის შემდეგ რაც უნდა კარგი რამე იყიდოს, მაინც სიცილს არ მოუშლიან, ამ შეჩვენებული ვირის ამბავს ყოველთვის მოაგონებენ, სოფლელების აბეზრობა მან კარგათ იცის. ამას მარტო იმიტომაც არ მოუშლიან, რომ შეშურთ მისი ქონება და კიდეც ეცდებიან ჩაამწარონ იგი.

— კაცო, ოქროპირ,—მიმართა მაჭანკალმა,— რა მიქენი, როგორ გამომჭერი ყელი, რაზე დაასხი კერაზე წყალი, რა მოგვიდა ეს? ის ქალი ამბობს, რომ არაფრის გზით არ წაგყვები, მეორე ქმარი რათ მინდაო! რაზე გამოიჭერი შე საწყალო ყელი, რა ღმერთი გაგიწყრა.

ეს ღა აკლდა ოქროპირს! უნდოდა თავი ემართლებია, უნდოდა ეთქვა, რომ ვირის ყიდვით არაფერი ცუდი არ ჩაუდენია, ვინაიდან ვირიც სასარგებლო ცხოველია და სხვა ასეთები, მაგრამ „მაინც არაფერი გამოვაო“ გაიფიქრა და თოფნაკრავივით გაშორდა მაჭანკალს. მიდის, მაგრამ საით—თითონაც არ იცის. თავი ზევით ვერ აუღია; სინათლისთვის ვერ შეუხედავს, ირგვლივ დამცინავი სახეები ელანდება, ხე-ტყე, ქვა, ბალახი, სულიერი და უსულო ყველა დასცინის, ყველა დახარხარებს. ღმერთს ეხვეწება, რომ არავინ შეხვდეს გზაში, კაცის დანახვას, გველის შეხედვა ურჩევნია, მოსახლეებისკენ არც კი იხედება. უკვე გაშორდა სოფელს, მაგრამ თავი მაინც ჩაქინდრული აქვს, ირგვლივ მაინც არ იხედება იმის შიშით, რომ არავინ დაინახოს. ყურში განუწყვეტლივ ესმის: „ხა... ხა... ხა... მამული გაყიდა, ვირი იყიდა... მესაათე შეიძინაო“... მთელის სხეულით თრთის, წყევა და კრულვას უგზავნის ვიღაცას, რაღაცას, ტბილებს აკრაჭუნებს სიბრაზით... და მიდის, მიდის...

მეორე დღეს ოქროპირის გვამი ხეზე ნახეს ჩამოკიდებული.

ვ. მალაქიაშვილი.

მაქსიმე და ჯუსიმე

(სცენა თფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოსათვის)

— ვი ენი ცოდვა, შე უბედურო, რა დეგემართა კაცო?

— ვი ენ შენ, თუ კაია, რავა არ იტყვი რა იყო?!

— რავა რა იყო კაცო?! შენ "გლაენი მასტერსკოიში" არ მუშაობ?

— ჰო!

— ჰო და შენ თუ ცოლ-შვილი არ ამოგეხოცა ან სახლ-კარი არ გადეგებუგა ისე დღის სინათლით ვინ გამოგიშოტდა იქიდან?!

— უკაცრავათ! მე სხვებივით ნუ კი გგონივარ. დეილოცა თავარანგელოზის სახელი, სანამ ის შწყალობს ჩემ ოჯახში ყველრულები გამოულეველი იქნება და უმფროსის გულიც ჩემსკენ იქნება. როცა მინდა ვიმუშავებ, როცა მინდა გამუალ. ისკარა, ამას წინეთ, კარპეზამ ჩემი ჯინიზა შეაგროვა მუშები და უმფროს სთხოვა: რა ხან კიტრი და პამიდორის სიზონი გეგიდა, სახეახოთ გაგვიდიდე ჯამაგირებიო, მარა ვერ მოვართვი. რავარც გეკოგე, გეკოქეცი უმფროსთან, დავაარსებიე მისი გვერდით კასსა და 500 კაკამდი ჩავბეტტე შინ.

მეორე ჯერ მომივიდა ბატონი კარპეზა წემუვარდა უმფროსი და უთხრა:

— ჩუდაკ! 500 ჩოლოვეკ ნა კასუ კლადიტ... ა ტი გავარიტ პრიბავლიატ გავარითო და გამუაგდო გარეთ.

— აბა რას წუწკუნობთ თქვე მამა ცხონებულებო, თუ კასაში შესანახი ფული გაქვთ!?

— გეუბნები, კასაში შესანახი ფული კი არა, პამიდორი, კიტრი და ხახვის ჯამით მუცელი აქვთ ჩათუთქული. მარა რახან მე კარპეზას ჯინი მჭირდა ყველას გაკეთება შევბირდი და ისე ჩავწერე.

— მერე ამისთანა ტყუილი რომ გაგიგონ?.

— ისთე აშენდა მაგენის ოჯახი! მაგენს ის ვერ გოუგიათ, თუ უმფროსის გვერდით კასაში ფულის შენახვა რა ფათერაკი მუაქვს და ჩემს ეშმაკობას გეიგებენ? მეტი არაა ჩემი მტერი!.

ძამია.

გურული სცენა

ბატონო და ანგელოზო, თელი ქვეყნის უმფროსო, ნაჩაინიკის ნაჩაინიკო, პომპოლიკის პომპოლიკო, დიდო ვეზირო, ხვანთქარო და პრისტავო! გადმომხედე შენი მოწყალების თვალით: უნდა მოგახსენო ყორიფელი ჩემი გაპვრება. გეხვეწები ეგვიტიეი ტრუკუნაძის ქალი. ვიქნები, ბატონო პომპოლიკო, ერთი ორას ხუთი წლის, ერთი თვის და სამი დღის ქალი, მოპრანშული, მოკაკული, ერთი სიტყვით კონკურენი, კეკელა, მალაზონი; იმას მომოგახსენებდი, შემიბრალე საწყალი ეგვიტიეი, კარზე გადარება აღარ შემიძლია, ქი ვარ დაპტყალული კერიასთან. გუშხმ, ბატონო პრისტავო, კერიის ძირში ჩამეყვინთა, ევიწიე და შით ღვრიელოში დგუნვა გავაყრიე, მომეკიდა ცეცხლი, გეკისვი ხელი, გეკიხრაწე, გეკიხრაკე და ახლა საჯაყი სანახავი ვარ, თავი თათრის ხოჯასავით მაქ შეხოული. ხო, ბატონო ხონთქარო, გეხვეწები, ერთი სახვეწარი მაქ, მარა სახვეწარი, სახვეწარს ქვია და იმედია საწყალ ეგვიტია ტრუკუნაძის ქალს შემიცოდვიებ. ღმერთი გამოშხაფავს ჩემ შვილს ფარნაიას რაფერ გადირია და გადიშალა. წეიყვანეს ბიეი სალდათათ. დეეგლიჯე ომაი, დეეიღლიტე ლოყა. გოგინაკომ მითხრა, ფარნაიეი გაკეთებულა, აფიცერთან არის დღეწჩიკათო, თუმმე იმტონი მოწონება მუუცემიან, ბატონო ხონთქარო, რომე აფიცერს წინდამ უდია და კალათაი პრასით და ნიახურით გაფსებული თვითონ მუაქ და აფიცერს არ ანდოპს ხელში. ამფერით გაკეთებული ჩემი ფარნაიე. იმის სტაელას გადავყევი და მას გონია მისი კაძახობით გეიტანა საქმე. ჯერ კლასში მყავდა სტოროჯათ, მერე სამიკიტნოში კოსტრულჩიკათ იყო, ამ ბოლოს მებუტაკეთ იყო, გამოვზარდე კაძახი, გავათავებიე ყორიფელი სტავლა, ახლა დღეწჩიკათ დუუყენებიან; აფიცერი უკან ქდება დროგში და იგი წინდამ. ახლა შენი ულვაშების პირიმე, ჩემ შვილს რაცხა ყურადღება მუაცემე, მაგიორში თუ ეგვიტიეი ვყოფილვარ კოობით კას კურტუმინან დედლს და დერგის პუპუტას მოკარ ოუმ ძღენათ.

ბუჯგუტი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ნ ე ბ ი

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის.

„თანამედროვე აზრზე“

გაზეთი ღირს ყველგან 1 წლით 15 მ.
1/2 „ 8 „
3 თვით 4 20 კ.
1 „ 1 40 „

გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. почт. ящикъ № 199 Власію М. Бохохадзе

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის.

„სახალხო ფურცელზე“

გაზეთი სურათებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მ.
ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, редакція „Сахалхо пурцели“ почт. ящ. 190.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

ოთხელ დღიურ სამოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ

„საქართველო-ზე“

ყოველკვირეულ სურათებიანი დამატებით.
გაზეთის ფასი წლიურად 15 მან. ნახევარი წლით 9 მან. სამი თვით 5 მან. ერთი თვით ქალაქში 1 მ. 80 კ. ქალაქ გარეთ გაზეთი ერთი თვით არ გაიგზავნება.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

ათ ... ატრ კვირეულ ჟურნალ

„თეატრ დ ცხოვრესა-ზე“

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას: **პაპაკის** „ნაკვესებს და გრძნეულ სიტყვებს“ ჯ. ლომთათიძის „რჩეულ აზრებს“

ჟურნალის ფასი: ორივე პრემიით 8 მან. ნახევარი წლით 4. 50 კ. თითო ნომერი ყველგან 15 კ.
მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-კვირეული უმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

ეშმაკი, ეშმაკის მათრახი, ეშმაკის, ეშმაკ, ეშ

ეშმაკ, ეშ, ეშ, ეშ

ფოსტა

ლეის-პირელს. ,,დღეს ქალების დარაჯი ვარ.
შრომას ავადე ხელით
და ამ საქმისთვის ბეურჯერ
კიდამ მომტეხეს წელით''.

თუ ეს მართალია და „ჩიბათელ ბუქუას“ მართლა მოსტეხეს წელი, ეს ვაკმაროთ, ენის მოტეხა რაღა საჭიროა. ეს ლექსი მთელათ რო დავვებეჭდა, რამოდენიმე ალაგას ენას უთუოდ მოიტეხდა.

ბზუილას. როცა ჩვენ თქვენი შემოქმედების შესახება ვსჯით, სახეში გვაქვს ჩვენი ჟურნალი. საქმე იმაშია, რომ თქვენი მოთხრობები ჩვენი ჟურნალისათვის არა სასურველი ზედნადებით არის ხოლმე დატვირთული. როცა ამ ტვირთს ვაშორებთ, მაშინ რჩება შედარებით უფრო საჩვენო ნაშთი. როდესაც „ეშმაკის მათრახისათვის“ სწერთ ეს გარემეობა ყოველთვის სახეში უნდა იქონიოთ და დარწმუნებული ვართ მიზანს მიაღწევთ. ყოველ შემთხვევაში თქვენ ჩვენს აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მისცეთ, ვინაიდან ჩვენ ისევე შეიძლება შევცდეთ, როგორაც თქვენ.

ქუთაისის კლუბში

„ჩემი შენ მითხარით, გული მოგიკალით“ (ქართ. ანდაზა)

მსახური. —ბატონო ვიღაც სოფლის უჩიტლებს უნდა თქვენი ნახვა. ძლიერ გეხვეწებიან.

დირექტორი. —საკვირველი ამბავია! მაგ დალოცვილებს კლუბი დირექცია ხომ არა ჰგონიათ! არა მცალია.

რედაქტორ-გამომც. თ. ზოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შეხვ., № 1